საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2690 2019 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

სოფლის ექიმებისა და სოფლის ექთნებისათვის ერთჯერადი გასაცემლის სახით დაფინანსების შესახებ

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, სოფლის ექიმებისა (400 ლარის ოდენობით) და სოფლის ექთნებისათვის (300 ლარის ოდენობით) ერთჯერადი გასაცემლის სახით (მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა) „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სოფლის ექიმის (სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი)“ პროგრამიდან (პროგრამული კოდი: 2703030802) განახორციელოს „პირველადი ჯანდაცვის

მომსახურების სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში 2019 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით დაკონტრაქტებული პირებისათვის 590 000 (ხუთას ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში თანხის გაცემა (გარდა იმ პირებისა: ა) რომლებიც ამავდროულად სარგებლობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ექიმებისა და ექთნებისათვის გათვალისწინებული დანამატებით; ბ) რომლებიც დაკონტრაქტებულები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში, „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილების მე-17 დანართის „სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების“ ფარგლებში (პროგრამული კოდი: 2703030702).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**